# დროება

№ 96 სამშაბათი, 4 მაისი 1910 წ. № 96

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წლის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად [illegible] მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე [illegible] 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ფილიპე, ტასია, სიმონი, ვანო, ნიკიფორე, ეფროსინე, ელპიტე და ლუდია მიმინოშვილები; მარიამ ფილიპეს ასული თიკანაძისა, ოლღა ფილიპეს ასული გვაზავაისა ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ოცი წლის ახალგაზრდასი: პირველი და მეორე ძვირფასი შვილისა, ხოლო დანარჩენნის უსაყვარლესი ძმის

## ანთიმოზ ფილიპეს ძე მიმინოშვილისას,

რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვება დანიშნულია სამშაბათს, 4 მაისს დ. აბაშაში საკ. სახლში; დაკრძალვა დ. სუჯუნაში ესაკეთის ეკკლესიაში. (1—ფ.—1)



## ქართული თეატრი

შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. გრიგოლ რობაქიძე გამართავს

## ლიტერატურულ საღამოს,

სადაც ყოველი მონაწილე თავის ნაწარმოებს წაიკითხავს.

**ბელეტრისტულ ესკიზებს წაიკითხავენ:** ალამაშვილი, არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, ილ. ელეფთერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლევ. მეტრეველი და ვ. ყიფიანი.

**ლექსებს წაიკითხავენ:** ვაჟა-ფშაველა, ახოსპირელი, გრიშაშვილი, მაყაშვილი და შანშიაშვილი.

**კრიტიკულ ეტიუდებს წაიკითხავენ:** კიტა აბაშიძე (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო"), ივ. გომართელი (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია") და გრ. რობაქიძე (წაიკითხავს ნაწყვეტს ლექციიდან: „რუსთაველის შემოქმედება").

**დაწვრილებით პროგრამებში.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები ეხლავ იყიდება თეატრის კასსაში. (6—3)



## „საარტისტო საზოგად." თეატრი

## 25 წ. საიუბილეო დღესასწაული 25 წ.

**ხუთშაბათს, 6 მაისს**

ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგ. გამგეობათა-მიერ ქართულ და სომხურ სცენების არტისტის გედეონ ვასილის ძის

## გედევანოვ-მირალიანის

25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება

## სადღესასწაულო წარმოდგენა

**წარმოდგენილი იქნება:**

I. ქართულად: მოლიერის **ტარტიუფი** მეოთხე რეჟისორი კ. მოქმედება, შათირიშვილი

II. სომხურად: გ. სუნდუკიანცის **დაქცეული ოჯახი** პირველი რეჟისორი ომ. მოქმედება მაისურიანი.

III. ქართულად: ა. ცაგარლის **ხანუმა** მეორე რეჟისორი კ. მოქმედება შათირიშვილი.

**მილოცვები, ადრესები და სხვა.**

მონაწილეობას იღებენ: (ანბანთა რიგით) ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ვართუი, თ. გოგოლაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მელიქიანი, ელ ჩეოქეზიშვილი, ვ. ჩიმიშკიანი; ბ-ნნი ვ აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვ-მირალიანი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, ა. მამოკონიანი, დ. მგალობლიშვილი, ი. ზ. ტერდავითიანი.

**ადგილების ფასი საბენეფისოა.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**საიუბილეო კომისია.**



## ზედამხედველი კომიტეტი

**მიხეილის სათავად აზნაურო სააღგილ.-მამულო ბანკისა ქუთაისს,**

ბანკის წესდების მე-89 § ძალით, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება დანიშნულია ქ. ქუთაისს ბანკის სადგომში 31 მაისს ამას 1910 წელს, დილის 11 საათზე.

თანახმად მე-89-§ შენიშვნისა, კრება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი რწმუნებულიც უნდა გამოცხადდეს.

**კრების განსახილველი საგნები:**

1. 1909 წლის ანგარიში,
2. ხარჯთ-აღრიცხვა 1910 წლისა;
3. მოგების განაწილება.
4. შეცვლა და დამატება ბანკის წესდების რამდენიმე -სა და განხილვა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისა.
5. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
6 არჩევანი გამგეობის თავმჯდომარისა (თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 26 მარტს 1910 წ. მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა).
და 7. არჩევნები ზედამხედველ კომიტეტის წევრებისა, გამგეობის წევრისა და კანდიდატისა. (3—ნ.—2)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. ლ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გოჰბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—167)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ.
ყოველ დღე 12—1 ს.
მ. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—332)



**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი გირპიჩნაია). (0—115)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—174)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი** ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულოზით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—61)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ა. ა. ბუტულოვისა** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—34

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—54)

**ექიმი** ბავშვებისა ქუთაისში **ბადრიძე** 1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—9

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთ 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—32

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—425)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—ნ.—41)



**ექიმი ზ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, გაბერლოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—83)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.
**ფასები საფაბრიკოა.**
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—13)



**ახალი დასურათებული**
**საყმაწვილო წიგნი**

## „ცხოველების გამჭრიახობა"

შედგენილი ან. წერეთელის მიერ.
ფ ა ს ი 25 კ.

და მარკ ტვენის თხზულება მრავალი — სურათით —

## „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი"

ფ ა ს ი 60 კ.

იყიდება „ჯეჯილი"-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.
ვინც ათზე მეტს იყიდის, დაეკლება 20%. (6—4)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ფინლიანდიის საკითხი დღეს ყველას ყურადღებას იპყრობს. საზღვარგარედ ცნობილი მეცნიერნი თუ საზოგადო მოღვაწენი და პარლამენტები მეტად დაინტერესებულნი არიან პატარა ფინლიანდიის სვე-ბედით. ინგლისის პარლამენტის დეპუტატებმა, როგორც დეპეშებში შეგვატყობინეს, ორი პეტიცია გამოუგზავნეს სახელმწიფო სათათბიროს, მოაგონეს, რომ კონსტიტუციონალური წყობილება მყარდება ახალგაზრდა რუსეთში და მეტად სამწუხარო იქნება თუ პირველი ნაბიჯი ამ კონსტიტუციისა ფინლიანდიის თავისუფლებას შეჰბღალავსო, გერმანიის და ბელგიის პარლამენტებსაც აქვთ განზრახვა პეტიციით მიმართონ სახელმწიფო სათათბიროს. მთელი ევროპისა და მოწინავე რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ფინლიანდიისადმი თანაგრძნობით არის მიმართული, მაგრამ რუსეთის დღევანდელი ბატონ-პატრონი—სხვანაირადა სჯიან და სხვაფრივ სწყვეტენ საკითხს. „ნოვოე ვრემია" და ოქტომბრისტთა ოფიცოზი „გოლ. მოსკვი" მეტად აღშფოთებულნი არიან უცხოელ მოღვაწეთა, მეცნიერთა და პარლამენტების მოქმედებით. ორივენი ამბობენ—ვინ მისცათ ნება ინგლისს, გერმანიას, ბელგიას და სხვათ რუსეთის შინაურ საქმეებში ხელები აფათურონო. „ნოვოე ვრემია" მაინც ყველაზე გულნატკენია და მისი აღშფოთება იქამდის მიდის, რომ ლამის მოღალატედ გამოაცხადოს გარეშე საქმეთა სამინისტრო. ფინლიანდიელები აგიტაციას ეწევიან, რუსეთის წინააღმდეგ ათას ჭორებს ავრცელებენ, ქვეყანას აჯერებენ—რომ ისინი ცამდის მართალნი არიან და გარეშე საქმეთა სამინისტრო კი გაჩუმებულა და არც კი სურს ანგარიში გაუწიოს ფინლიანდელთა აგიტაციას. თითქოს ეს საქმე იმას კი არ ეხება, არამედ უწმინდეს სინოდს ან ცხენების მომშენებელ სამმართველოსაო.

„გოლოს მოსკვი" კი უფრო მეტს გამბედაობას იჩენს და პირდაპირ ურჩევს ინგლისელებს, გერმანელებს და ავსტრიელებს, უმჯობესია ფინლიანდიის თავი დაანებოთ და შეუდგეთ პოლონელების (გერმანია), ბოსნია-ჰერცოგოვინისა (ავსტრია) და ირლანდიელების (ინგლისი) მიმართ სამართლიანობის დამყარებასაო. „პეტიციების წერა „დედილ ფინლიანდიაზე" არ შეეფერება იმ ხალხის წარმომადგენელთ, ვის გამოც ირლანდია გვემული და წამებულია". აი, ასე მსჯელობენ მემარჯვენე ბანაკის გაზეთები.

ფინლიანდიის სეიმმა ჯეროვანად გამოხატა ფინლიანდიის ხალხის აზრი საერთო საიმპერიო კანონ-პროექტის შესახებ. სეიმმა უარჰყო ეს კანონპროექტი. რას იზამს სათათბირო? „რუს. ვედ." აზრით სათათბირო, რასაკვირველია, კვერს დაუკრავს მთავრობას და მიიღებს სტოლიპინის კანონ-პროექტს. ეს კია, რომ ოპოზიცია წინააღმდეგი იქნება და სათათბირო ერთხმად ვერ მიიღებს კანონ-პროექტს.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**30 აპრილის სხდომა.**

თავმჯდომარედ იყო გუჩკოვი. წაიკითხეს ინგლისის ელჩის ნიკოლსონის წერილი. სათათბირომ განაგრძო განხილვა სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების ნორმალურ დასვენების კანონ-პროექტის შესახებ. **გორკავენკომ** განაცხადა, რომ მთელი იმპერიისათვის ერთნაირი წესები უნდა დამყარდეს კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის შესახებ. საკითხის დაწვრილებით გადაწყვეტა არ შეიძლება მიენდოს ქალაქის თვითმმართველობას, რადგან ამას საშინელი არევ-დარევა მოჰყვებაო. **ანდრეიჩუკმაც** მხარი დაუჭირა წინა ორატორს და განაცხადა, კანონ-პროექტი მუხლ-მუხლად განვიხილოთო.

პირველ მუხლში მოხსენებულია, რომ სავაჭრო დაწესებულებებში 12 საათის მუშაობა უნდა იქმნეს შემოღებულიო. **სტეფანოვმა,** (კადეტი), **პეტროვ მესამემ** (შრომის ჯგუფი) და **პრედკალნიმ** (სოც.-დემ) დაიცვეს თავიანთი შენიშვნები რვა საათიან სამუშაოს შემოღების შესახებ. ილაპარაკა **ტიმოშკინმაც** და განაცხადა, რომ რვა საათის სამუშაო საზარალოა ნოქრებისათვის, ჯამაგირი მოაკლდებათო. **ეგოროვმა** სთქვა, ბევრი იმიტომ უფრო უფრთხის რვა საათიან სამუშაო დღეს, რომ ნოქრებს ბევრი დრო ექნებათ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაო. სათათბირომ მიიღო პირველი მუხლი კომისიის რედაქციით და კოვალენკო პირველის შენიშვნით, თორმეტ საათიან სამუშაო დღეში უნდა ითვლებოდეს დასვენების დროცაო.

ამის შემდეგ სხდომა შესწყდა. სხდომის განახლებისას სტეფანოვმა, **პეტროვ მესამემ, პოლეტაევმა, კუზნეცოვმა, კოვალენკომ** და **პრედკალნიმ** წინადადება შეიტანეს მეორე და მესამე მუხლი კანონპროექტისა ამოიშალოს, რადგან ეს მუხლები გულისხმობენ თორმეტ საათზე მეტ სამუშაო დროსო. **გრაფ ბობრინსკიმ პირველმა** შეიტანა შესწორება—სამუშაოს გაგრძელება შეიძლება, თუ მუშების მორიგეობა იქნებაო.

**ანდრეიჩუკმა** მოითხოვა რომ წელიწადში 40 დღის განმავლობაში სამუშაო ვადა 2 საათით გაგრძელდეს და მუშებს ზედ-მეტი შრომის ფასი მიეცეთო. სათათბირომ მიიღო მეორე მუხლი ამ შესწორებით, ხოლო მესამე მუხლი ტიზენგაუზენის შესწორებით, რომლითაც სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს უფლება აქვთ პირადის მორიგებით მისცენ მუშებს შემთხვევითი სამუშაო.

მეოთხე მუხლი თხოულობს, რომ სანოვაგის სავაჭროებში ვაჭრობა 15 საათამდის დაწესდეს. **სტეფანოვმა** მოითხოვა სამუშაო დროს გაგრძელების ნაცვლად შემოღებულ იქმნას მორიგეობით მუშაობა. ტრუდოვიკებმა 16-24 სამუშაო საათი დააწესდეს სანოვაგისა და ყველა პირველ მოთხოვნილების სავაჭროებში, მხოლოდ მუშების სამი-ოთხი მორიგეობა იქმნას სავალდებულოო. მიიღეს მეოთხე მუხლი **ტიზენგაუზენისა და კოვალენკოს** რედაქციით: თორმეტ საათიდან თხუთმეტ საათზე ზევით შეიძლება ვაჭრობა თუ მორიგეობა იქნება და მუშებს ზედ-მეტი სამუშაო მიეცემათ. შემდეგი სხდომა დანიშნულია 1 მაისისათვის.

**1 მაისის სხდომა.**

თავმჯდომარეობდა თავ. ვოლკონსკი. სოციალ-დემოკრატებსა და ტრუდოვიკებს წითელი ვარდები ჰქონდათ გულზე დაკეთებული. სათათბირომ განაგრძო ნორმალურ დასვენების კანონ-პროექტის განხილვა. მეხუთე მუხლის შესახებ ილაპარაკეს ტრუდოვიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა. კანონ-პროექტი მეტად მძიმე უღელს ადებს კისერზე პროლეტარიატსაო. მხოლოდ სოციალიზმს შეუძლიან შეჰქმნას თავისუფალ შრომის ნამდვილი პირობებიო. მეხუთე მუხლი მიიღეს მაშკევიჩის შესწორებით. მუხლში აღნიშნული უბედური შემთხვევები განსაზღვრულია—წყალ-დიდობით, ცეცხლით და სხვა. მეექვსე მუხლი არ უარ-ჰყო სათათბიროს უმრავლესობამ, ოქტომბრისტების წინააღმდეგ. მეშვიდე მუხლი უკამათოდ მიიღეს. მერვე მუხლი შეეხება შესვენებას საერთოდ არა ნაკლებ ორი საათისა დღეში. ტრუდოვიკებმა შეიტანეს წინადადება—რვა საათის სამუშაო დღეზე ორი საათის შესვენება დაწესდეს, ექვსი საათის სამუშაო დროზე ერთი საათის შესვენება.

ბარ. ტიზენგაუზენმა თავისი შესწორება შეიტანა და მოითხოვა რვა საათის სამუშაოზე ნახევარ საათის შესვენება იყოს შემოღებული, ცხრა და ათ საათისაზე—ერთი საათი ხოლო ათ საათიანზე—ორი საათის შესვენება. სათათბირომ მიიღო ეს შესწორება. სხდომა შესწყდა.

სხდომის განახლების შემდეგ თავჯდომარეობდა გუჩკოვი. პურიშკევიჩმა განაცხადა, გაზეთებში დაბეჭდილია, რომ სათათბიროს თავჯდომარემ მიიღო ორი განცხადება უცხოელთაგან—ერთი ნიუკესტლის სავაჭრო პალატიდან, მეორე ბელგიის სენატორთა და დეპუტატთა პალატიდან. განცხადება შეეხება რუსეთის პოლიტიკას ფინლიანდიაში. ჩვენს შინაურ საქმეებში უცხოელთა ჩარევა შეჰბღახავს ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას. ამიტომ საჭიროა ეხლავე დაევალოს თავჯდომარეს უკანვე დაუბრუნოს განცხადებები გამომგზავნელთ. თავჯდომარემ განმარტა, რომ ნაკაზით არ შეიძლება მიღებულ იქნას განცხადება არა მორიგ საკითხებზე. სოც.-დემ. და ტრუდოვიკებმა მოითხოვეს იუქმონ შობის ორი დღე და აღდგომისა სამი, აგრეთვე პირველი მაისი, როგორც შრომის დღესასწაული და 19 თებერვალი—როგორც გლეხთა განთავისუფლების დღე. პარჩევსკიმ მოითხოვა, რომ პოლონეთში დღესასწაულები ირიცხებოდეს გრიგორიანის კალენდრით, ებრაელებმა და არა ქრისტიანებმა თავიანთი დღესასწაულები უნდა იუქმონ.

წაიკითხეს მემარჯვენეთა და ნაციონალისტების შეკითხვა უმაღლეს სასწავლებლის, მდგომარეობის შესახებ. შეკითხვის ავტორები მოითხოვენ შეკითხვა დაუყოვნებლივ ყოფილიყო განხილული. **ზამისლოვსკიმ** მემარცხენეებს უსაყვედურა, რომ ისინი აფუჩეჩებენ ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხს და არ უნდათ გაითვალისწინონ უმაღლეს სასწავლებლის იარები. გეგეჭკორმა დაიცვა შეკითხვის სისწრაფე. მემარჯვენეებს სურთ ამ შეკითხვით კვლავ სამარცხვინო იერიში მიიტანონ მოსწავლე ახალ-გაზრდებზე. სათათბირომ უნდა მიიღოს მემარჯვენეთა შეკითხვა, რომ გამოაშკარავოს ზნეობრივი არარაობა იმათი, ვინც ასე ტალახში სვრის რუსეთის საუკეთესო იმედს მოსწავლე ახალგაზრდებს (ტაში მარცხ.) **ბულატი** წინააღმდეგი იყო შეკითხვის სისწრაფისა. არავითარ გამოწვევას ადგილი არ აქვს. განვიხილოთ უფრო მნიშვნელოვანი

შეკითხვებიო. შეკითხვის სისწრაფე უარყო სათათბირომ 104 ხმით, წინააღმდეგ 78 ხმისა—ნაციონალისტებისა და სოც.-დემ.-სა. თავჯდომარემ წაიკითხა ინგლისის დეპუტატთა პალატის სამადლობელი დეპეშა მეფის გარდაცვალების გამო მწუხარების გამოცხადებისათვის. დეპეშის წაკითხვის დროს მემარჯვენეები პროტესტებით დარბაზიდან გავიდნენ. შემდეგი სხდომა დანიშნულია 3 მაისისათვის.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2—3 მაისი.

### აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** ჩერნოლევის გასავალი საბოლოოდ გაიხსნა. პრიზრენთან დამოკიდებულება აღდგენილია. გუშინ დაუბრკოლებლივ მოვიდა ფოსტა. მეამბოხეებმა მთებისკენ დაიხიეს. ზარბაზნებით დაანგრიეს სოფლები ბუდაკოვო, ჩერნოლევო და სტიმლა. პუდაკოვში რამდენიმე ათასი შეიარაღებული ალბანელი აღმოჩნდა. 26 აპრილს დიაკოვოს მხრიდან დრენიცაში ჩამოვიდა რამდენიმე ათასი ალბანელი. პრიზრენიდან ჩერნოლევში წავიდა ექვსი ბატალიონი. ჯარი დაიჭირს სტრატეგიულ ადგილებს და ალბანელებს გზას შეუკრავს. პრიზრენში მხოლოდ ექვსი ბატალიონიღა დარჩა. ალბანელმა რამადან-ზიკამ 300 კაცით დაიჭირა სოფელი მოპესირცი და გზა შეუკრა ჯარს, რომელიც ტეტოვოს გზით მიდიოდა. სამხედრო მინისტრი, ექსპედიციის უფროსი შევკეთ-ტურგუტ-ფაშა და უსკიუბის ვალი სტიმლეში წავიდნენ. ამბობენ, რომ მათ აზრად აქვთ ალბანელთა საპატიო პირების საშუალებით მეამბოხესთან მოლაპარაკება გამართონ. მეამბოხეები ძველი პირობების ასრულებას თხოულობენ და ამას გარდა მთავრობას სთხოვენ ალბანეთიდან გაიყვანოს ახლად ჩამოსული ჯარი. ხმა დადის, ყოის ალბანეთის [illegible] მარეობა იმ პირობით კი, რომ ფერიზოვიჩში იყოლიოს ერთი ბრიგადა ჯარი და თითო პოლკი გილიანსა, პრიშტინსა, მიტროვიცსა, იპეკსა, დიაკოვოსა და პრიზრენში. შეიხ-მუფტი-იზმიდმა დეპეშით მიმართა ალბანიის ქალაქების მცხოვრებთ და სთხოვა შეაჩერონ სისხლის ღვრა. დიაკოვო ჯერ-ჯერობით გარშემორტყმულია. ტელეგრაფი და ფოსტა არ მოქმედებს. ყველაფერს და ყველას ალბანელები ბატონობენ. ფერიზოვიჩში წავიდა სასანიტარო მატარებელი.

**სალონიკი.** სოფელ დრენიციდან და პოდრირიმიდან განდევნილმა ალბანელებმა, რიცხვით 25,000 კაცზედ მეტმა, თავი მოიყარა მთებში. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ რამადან-ზასიკის რაზმს 5000 კაცზე მეტი მიემატებაო. ჩერნოლევის გასავალთან 15,000 ალბანელი იდგა. დასწვეს ხუთი სოფელი, დაატყვევეს 23 მეამბოხე.

**სალონიკი.** სამხედრო მინისტრმა მაჰმედ-შევკეთ-ფაშამ იკისრა ექსპედიციის უფროსობა.

**სალონიკი.** ალბანელთა უმთავრესი ძალები დრენიცაშია თავმოყრილი. აქ არიან ყველანი, ვისაც კი მონაწილეობა მიუღიათ ჩერნოლევის ბრძოლაში და 10,000-ზე მეტი ალბანელი მოსულა დიკოვოს მიდამოებიდან. ორი დღეა, რაც შეტაკება არ მომხდარა. ოსმალთა ჯარები ფერიზოვიჩში ისვენებენ. აქაა მოტანილი 300 ყუთი საარტილერიო მასალები. აქვე მოვიდა დივიზიის უფროსი შამი-ფაშა. რამადან-ზასიკმა შეკრა ტეტოვიდან პრიზრენში მიმავალი გზა.

28 აპრილს რამან-ზასიკი ცდილობდა დაეჭირა შარდაგის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე უღელტეხილი, მაგრამ იგი ჯარების მიერ დაჭერილი დახვდა.

### ფინლიანდია

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ მიიღო ნიუსტატის [illegible] პალატის 58 და [illegible]ბი. რეზოლიუციებში ზემოდ-დასახელებული დაწესებულებანი ეხებიან ფინლიანდიის საქმეებს და სთხოვენ სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარეს მიღებულ იქმნეს ზომები, რომ ფინლიანდიას არ წაართვან თავისუფლება და კონსტიტუცია.

**ბერლინი.** ლიბერალების გაზეთი „შვებიშერ. მერკური“ ეხება ფინლიანდიის შესახებ პეტიციას, რომელიც რეიხსტაგის დეპუტატებმა სახელმწიფო სათათბიროს უნდა გაუგზავნონ და სწერს, რომ დეპუტატების ეს საქციელი მოუფიქრებელი თამაში იქნებაო. გასაკიცხია რეიხსტაგის დეპუტატების განზრახვა, რომ გავლენა იქონიონ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებაზე. რუსეთს შეუძლიან დეპუტატების საქციელში შეუფერებელი მოქმედება დაინახოს და თავის მხრივ გერმანიას გაუფუჭოს საქმეები, თუნდაც პოლონელების საქმეებში ჩარევითაო.

### კრიტის საქმე.

**სტამბოლი.** ჯერ არ გამოუქვეყნებიათ ოსმალეთის მთავრობის საპასუხო ნოტა, რომლითაც მან კრიტეს მფარველ-სახელმწიფოების წარმომადგენლებს მიმართა და რომელშიაც კრიტეს საქმეებს ეხებოდა. ნოტა ზომიერი კილოთი არის დაწერილი და აღნიშნავს, რომ საჭიროა კრიტეზე დაცულ იქმნას სულთანის უზენაესი უფლებებიო.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იუწყება: რადგანაც კრიტეს დეპუტატებმა საბერძნეთის მეფის ერთგულებაზედ დაიფიცეს, ამიტომ ოსმალეთის მთავრობამ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს საპროტესტო ნოტა გაუგზავნაო. ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, რომ ინცინდენტი გათავებულად არ მიგვაჩნია და ამ საქმის გამო ხელმეორედ მივმართავთ კრიტეს მფარველ-სახელმწიფოებსაო.

### ჰაერში ფრენა

**პეტერბურგი.** ჰაეროპლანების გაჯიბრების მეშვიდე დღე. პირველად ანტუანეტის აპარატით გაფრინდა გერმანელი ავიატორი ვანცერსი. ვანცერსმა იფრინა ხუთი წუთი და 10 წამი. ჩამოშვების დროს აპარატს გაუფუჭდა ამორტიზატორი. ჰაეროპლანს დაღუპვა მოელოდა, ამიტომ ვანცერსი ხელმეორედ გაფრინდა, მაგრამ რადგან ჰაეროპლანი ტრიბუნებისკენ გაფრინდა, ამიტომ ვანცერსი იძულებული გახდა მიწაზე დაშვებულიყო. ჰაეროპლანი დაზიანდა. შემდეგ რაიტის ჰაეროპლანით გაფრინდა პოპოვი. ვერ მოასწრო პოპოვმა რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე აფრენა, რომ აპარატი გამოურკვეველ მიზეზისა გამო დაბზრიალდა და მალე მიწაზე დაეცა. აპარატის მარცხენა მხარე სულ ერთიანად დაიმტვრა. პოპოვი გადარჩა. აგრეთვე გაფუჭდა ვუაზენის აპარატი, რომლითაც გაფრინდა ბარონესსა დელაროში. ფრანგი ავიატორი მორანი გაფრინდა ბლერიოს მონოპლანით. ძლიერმა ქარმა აპარატი დააბზრიალა და გააქანა იმ ადგილისკენ, სადაც კომისარების ჯგუფი და მოსამართლეები ისხდნენ. აპარატ ქვეშ მოჰყვნენ პროფესსორი მიტინსკი, პოლკოვნიკი პალიენკო და კრივენკოს თავი აქვს გატეხილი. ილიენკომ ფეხი იტკინა, პროფესსორი მიტინსკი არ დაშავებულა. მონოპლანი დაეჯახა ფიცრულს, დაიმტვრა აპარატის მარჯვენა მხარე, მარცხენა მხარე დაეჯახა ქრისტიანსის აპარატებს და გააფუჭა. მორანი გადარჩა. შემდეგ ორჯერ გაფრინდა ედმონდი, პირველად იფრინა 20, მეორედ 32 წუთი. სემანდს ერგო ყოველდღიურად დანიშნული ორი პრიზი, სულ 576 მანეთი. საღამოთი ედმონდმა ფრენის დროს თან წაიყვანა ბარონესსა დელაროში და ქ ნი დოლგორუკაიასი.

**იოჰანნისტალი.** ჰაეროპლანების გაჯიბრება. ხანგრძლივი ფრენის პრიზი აიღო ფრანგმა ჟონენმა. ჟონენმა იფრინა ორი საათი, 39 წუთი და 25 წამი

**პეტერბურგი.** ჰაერში ფრენის უკანასკნელმა დღემ წვიმის გამო უნაყოფოთ ჩაიარა. არავინ გაფრენილა. გამოირკვა თუ ვის მიესაჯება რამდენიმე პრემია: პეტერბურგის დიდი პრიზი მიეცემა ქრისტიანსს, მეორე—პოპოვს, მესამე—მორანს, მეოთხე—ედმონდს. ხანგრძლივი ფრენის პრიზი, რომელიც საზღვაო უწყებამ დანიშნა, მიეცემა პოპოვს.

**მოსკოვი.** თავის ჰაეროპლანით გაფრინდა ფარმანი. იფრინა სულ სამი წამი დაჰყო 20—30 მეტრის სიმაღლეზე. ფარმანი ოთხჯერ გაფრინდა.

### საზღვარ-გარეთ.

**ქრისტიანია.** ოდელსტანგმა (71 ხმით წინააღმდეგ 10 ხმისა) მიიღო კანონ-პროექტით, რომლითაც ფართოვდება ქალთა საარჩევნო უფლებები. კანონ-პროექტით არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 200,000 ქალზედ მეტი.

**ჰამბურგი.** მთავრობა სამართალში აძლევს ბრუნევიჩის ფირმას და იმ პირთ, რომელთაც უკანასკნელ ხანებში მოტყუებით ფინლიანდიაში იარაღი შეიტანეს.

**ბუენოს-აირესი.** არგენტინის ასი წლის დამოუკიდებლობის დღესასწაულის გამო ანარქისტებმა გადასწყვიტეს საერთო გაფიცვის მოხდენა. მთავრობამ დეპუტატთა პალატის თანხმობით გამოაცხადა საალყო წესები. რამდენიმე სტუდენტი შევარდა ადგილობრივ ანარქისტების და სხვა სოციალისტურ გაზეთების რედაქციებში, დაამტვრიეს საბეჭდავი მაშინები და სხვა.

**მადრიდი.** მინისტრ-პრეზიდენტმა აუკრძალა რესპუბლიკელებს და სოციალისტებს ედღესასწაულათ დღეს თავისი გამარჯვება არჩევნებზე.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** რეგენტმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც ეხება სასამართლო დაწესებულებათა უსამართლო და უნაყოფო მოქმედებას. ბრძანება გამოიწვია მცხოვრებთა საჩივარმა. რეგენტის ბრძანებით 15 დღით დაიკეტა იუსტიციის სამინისტრო. სამინისტროს წევრები [illegible]. სეპახდარმა სამსახურს თავი დაანება. მეჯლისის თავმჯდომარემ ინახულა მუშტეიდების უმთავრესი მეთაურნი და სთხოვდა მოესპოთ აგიტაცია სასამართლოების წინააღმდეგ.

**ბერლინი.** „ფოსიშე-ცეიტუნგს“ ინგლისიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის სესხის შესახებ საკითხმა ლამის არის საერთაშორისო ხასიათი მიიღოს. რუსეთმა და ინგლისმა აცნობა სპარსეთს, რომ მას შეუძლია სტრატეგიული გზების გაყვანა მათ დაუკითხავად, სესხის აღებაც შეუძლიან მხოლოდ რუსეთისა და ინგლისის კონტროლის ქვეშ. ლონდონში მყოფს გერმანიის ელჩს მოლაპარაკება ჰქონდა გრეისთან და გარდინგთან, მაგრამ მან ვერ შესძლო მოესპო უთანხმოება ამ საკითხში ინგლის-რუსეთს შორის. გერმანიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ თუ ორმა სახელმწიფომ ისეთი პირობა შეჰკრა, რომელიც ავიწროვებს მესამეს უფლებას, მაშინ ეს პირობა საერთაშორისო უფლების პრინციპს ეწინააღმდეგება. სპარსეთის საკითხი ლამის მაროკოს საკითხზე საძნელო საქმეთ გახდეს. სამ სახელმწიფოთა კავშირის სავაჭრო-საპოლიტიკო ინტერესების სისტემატიური გამოყოფა ინგლის-რუსეთის შეთანხმების პოლიტიკით თავს იჩენს სპარსეთის საკითხშიაც.

### ტარნოვსკაიას საქმე.

**ვენეცია.** სასამართლოს საღამოს სხდომაზედ ილაპარაკა პრილუკოვის დამცველმა კარატიმ. მან სასამართლოს მოაგონა, რომ პრილუკოვს ბევრჯელ უნდოდა თავიდან აეცილებინა მკვლელობაო და ითხოვა პრილუკოვის გამართლება, რადგან ყველაფერი ტარნოვსკაიას ბრალიაო.

### რ უ ს ე თ ი

**ტამბოვი.** საღამოს 8 საათზედ ადგილობრივ სატუსაღოში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მოედო ქალების განყოფილებას, აბანოს და სამზარეულოს. ცეცხლი მალე ჩააქრეს. სატუსაღოს გარს ჯარი და პოლიცია არტყია. ტუსაღები, გარდა ქალებისა, თავიანთ ოთახებში

## უკანასკნელი დღენი იმერეთის სამეფოსი

### 2.

### იმერეთის დაჭერა რუსეთის მხედრობისაგან.

მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველოში (ქართლ-კახეთში) ფეხი შესდგა, მეზობელი ერები შიშის ზარმა აიტანა. ეჭვი არ იყო, რომ დღეს თუ ხვალ ქართლ-კახეთის დღე მათაც დაადგებოდათ და რუსეთის მხედრობა მარტო საქართველოთი არ დაკმაყოფილდებოდა. რუსეთისათვის აუცილებელი საჭიროება შეიქნებოდა, რაც შეიძლება ჩქარა კასპიისა და შავის ზღვისაკენ კარის გახსნა და გზის გაკაფვა, რადგანაც ერთად-ერთი რუსეთისაკენ მიმავალი საქართველოს სამხედრო გზა ისეთი პირქუში და გაუვალი იყო, რომ არამც თუ სამხედრო სურსათი და ჯარების გადმოყვანა იყო ძნელი, ზოგჯერ უბრალო მიწერ-მოწერის გზავნაც კი სჭირდებოდა და მთელი თვეობით სწყდებოდა თავისს მეტროპოლის ახლად დამკვიდრებული რუსეთის მცირე მხედრობა და განსაცდელში ვარდებოდა. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ იყო მეზობელ ერების შიში და მოლოდინი, რომელმაც ერთი-ორად უფრო იმატა, როცა რუსეთმა საქართველოს ბატონიშვილთა და სამეფო სახლობას რუსეთში გადასახლება დაუწყო და აწიოკებულ-ატირებული ბატონიშვილნი მთელს კავკასიას მოედვნენ და მთა-ბარს შესტიროდნენ და უხმობდნენ საშველად და დასახმარებლად.

შესაბრალისნი იყვნენ ბატონიშვილნი, შესაბრალისი იყო მათი მდგომარეობა, შარავანდედ მოსილი ირაკლის შვილნი, რომლის სახელიც ერთს დროს მთელს კავკასიაში გრგვინავდა და კიდით-კიდემდის გაისმოდა მისი საქმენი საგმირონი, დღეს სამშობლოდგან ლტოლვილნი მთელს კავკასიას მოსდებოდნენ და სხვათა კარათ დაწრწოდნენ. ბატონიშვილი ალექსანდრე სპარსეთში გავარდა, იულონი და ფარნაოზი იმერეთს შეეხიზნენ. იმედით უცქეროდა მათ მთელი კავკასია, მათ თავგანწირულ ბრძოლას თვითარსებობის შენარჩუნებისათვის ბანს აძლევდა ჭარბელაქანი, ნუხა-შირვანი, ირანის ბრძანებელი და სხვანი და სხვანი.

იმერეთს ლტოლვილნი ბატონიშვილნი დიდის პატივით მიიღო სოლომონმა. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც უბრალო სტუმართ-მოყვარეობის გარდა, სოლომონი დიდათ დავალებული იყო ერეკლე მეფისაგან. როგორც ვიცით, ერეკლე მეფის წყალობითა და დახმარებით გამეფდა სოლომონი და შემდეგშიაც არა ერთხელ და ორჯელ აღმოუჩენია მისთვის დახმარება და მიუშველებია ჯარები. ბატონიშვილნი, რომელთაც თანა ჰყავდათ ოჯახობა და ახლდათ დიდძალი ამალა დაბინავა სოფელს ქალაში და მათ სარჩენ საზრდოებლად შემოიღო იმერეთში ახალი ხარჯი, ბატონიშვილთა სასარგებლოდ.*)

რუსეთის მთავრობისათვის არაფერს სახეიროს წარმოადგენდა სოლომონის სტუმართ-მოყვარეობა. იმერეთში შეხიზნულნი ბატონიშვილნი, მარჯვეთ ადევნებდნენ თვალ-ყურს რუსეთის მხედრობის მოძრაობის ყოველს ნაბიჯს, ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდათ ქართლ-კახეთის გავლენიან თავად-აზნაურობასთან, ყველგან და ყოველთვის ცეცხლის მფრქვევ პროკლამაციებსა და მოწოდებებსა ჰფენდნენ და მეცადინეობას არ აკლებდნენ მოხერხებულ დროს აჯანყება მოეხდინათ ქართლ-კახეთში, განედევნათ რუსეთის მხედრობა და აღედგინათ თავიანთი უფლება.

რუსეთის მთავრობა დიდი ხანია ცდილობდა ბატონიშვილების გაძევებას იმერეთიდგან, მაგრამ სოლომონი მუდამ ასე გაიძახოდა, ჩემი სახლი ერეკლე მეფის სახლია და მათი გაძევება იმერეთიდგან შეუძლებლად მიმაჩნიაო. გარდა ამისა, ცხადზედ-ცხადი იყო სოლომონისათვის, რომ რუსეთის მფარველობა, რომელსაც ზღაპრული მანანასავით მოელოდა ერთს დროს სხვებთან ერთად სოლომონი, ისევე დღეს დააყენებდა მას, რაც დღე დაადგა ქართლ-კახეთს და ბატონიშვილებსავით მასაც სხვისა კართ წანწალი მოუხდებოდა. კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ყველა ეს სოლომონს, ამიტომ ის არამც თუ სცდილობდა ბატონიშვილების მოცილებას იმერეთიდგან, პირიქით ბატონიშვილნი მისთვის დიდათ საჭირონი იყვნენ, ისინი საფარს წარმოადგენდნენ მისთვის, რომელთ ზურგთ უკანაც სოლომონი მოქმედებდა და ყოველმხრივ შემწეობას უწევდა მათ.

ამ გვარს მდგომარეობაში იყო იმერეთი, როცა რუსეთის მთავრობამ დაჟინებით მოითხოვა მუხურის ციხეში გამომწყვდეული ბატონიშვილი კონსტანტინეს განთავისუფლება. როგორც ვიცით ბატონიშვილი კონსტანტინე იმერეთის ყოფილმა მეფე დავითმა მძევლად მისცა სოლომონს, რომელმაც იგი მუხურის ციხეში გამოამწყვდია, მას შემდეგ რაც დავითი ხელახლად გაიქცა ახალციხის ფაშასთან და კვალად შემოესია იმერეთს. როცა შემდეგში ყოფილი მეფე დავითი იმერეთიდან ლტოლვილი ახალციხეში გარდაიცვალა, მის ქვრივს ანნას მეფე ერეკლემ იმერეთის საზღვარზედ კეფინის ხევში საცხოვრებლად სოფლები და ყმა-მამული მისცა. სცხოვრობდა ერეკლესგან მიცემულს მამულში ქვრივი დედოფალი, მეცადინეობას არ აკლებდა თავისის შვილის განთავისუფლებას და მთელი გულის ყური იქითკენა ჰქონდა მიქცეული—აცა-ან ახლა გაუღიმებს ბედი ჩემს შვილს და მეფობას იგდებს ხელშიო. ამისათვის დედოფალი არაფერსა ზოგავდა, სოლომონის უკმაყოფილო თავად აზნაურობასთან საქმეს იჭერდა და თავისაკენ იზიდავდა. რუსეთის შემოსვლამ ქართლ-კახეთში ხომ სულ ფრთები შეასხა დედოფალ ანნას და იმედი ჰქონდა რუსეთიც მის მხარეს დაიჭერდა. მეფე სოლომონს არ გამოეპარა დედოფალ ანნას საიდუმლო მოქმედება, ერთს დღეს მიუსია რაზმები, აკლებინა მისი ყმა-მამული, რამდენიმე კაცი მოუკლა და დაუჭრა და თითონ დედოფალმაც ტყვეთ ჩავარდნას ტყეში დამალვით უშველა თავს, საიდანაც რუსეთის მხედრობის წყალობით ტფილისში ამოჰყო თავი. აქ რუსეთის მთავრობასთან მეცადინეობა დაიწყო შვილის განთავისუფლების შესახებ და უმტკიცებდა, რომ კანონიერი მემკვიდრე ტახტისა ჩემი შვილიაო და სოლომონმა მხოლოდ ძალმომრეობით ჩაიგდო ტახტი ხელშიო. დედოფალმა ანნამ რუსეთის მთავრობის ჩაგონებით ჯერ თხოვნა მიართვა იმპერატორს და მერე რუსეთისავე მთავრობის დახმარებით პეტერბურგს გაემგზავრა.

რუსეთის მთავრობამ ეს გარემოება მაგრად დაიხვია ხელზედ და ორის ხელით წაებლაუჭა მარიამ დედოფლის თხოვნას. დიდი ხანია რუსეთის მთავრობა ეძებდა ასეთს შემთხვევას, დიდი ხანია დაინტერესებული იყო კონსტანტინე ბატონიშვილის გარემოებით. ციციანოვს აზრადა ჰქონდა, მოხდებოდა თუ არა ამბოხება, ან რამე უსიამოვნობა იმერეთში მაშინვე რუსეთის ურჩს სოლომონს გადმოაგდებდა და კონსტანტინეს გაამეფებდა, რომელიც მისი მონა მორჩილი იქნებოდა. ამიტომ რუსეთი ფხიზლად ადევნებდა კონსტანტინე ბატონიშვილს ბედილბალს და ერთი ხელობა გავრცელდა თუ არა ამბავი, კონსტანტინე ბატონიშვილი მოსწამლესო, ციციანოვმა მაშინვე ექიმი იფრინა იმერეთისაკენ, მაგრამ საბედნიეროდ არავის აზრადაც არ ჰქონდა მისი მოწამლვა. ასე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის მთავრობა კონსტანტინეს და ეხლა, როცა თვით ქვრივი დედოფალი ეახლა რუსეთს და დახმარება სთხოვა, რუსეთიც რაღას დაზოგავდა. რუსეთმა უკვე ერთი ხელობაც წინადაც გამოუგზავნა სოკოლოვი კონსტანტინეს განსათავისებუფლებლად, მაგრამ სოლომონი ცივს უარზედ იდგა და ხელცარიელი გაისტუმრა სოკოლოვი უკანვე. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც კონსტანტინე მძლავრ მეტოქედ ითვლებოდა და სოლომონი მის განთავისუფლებით თავისავე ხელით თავისს თავს სიკვდილს უმზადებდა. რუსეთსაც სწორედ ამის გამო უნდოდა მისი განთავისუფლება, რომ მზადა ჰყოლოდა მეტოქე და როცა რუსეთის მოთხოვნილებებს არ აასრულებდა სოლომონი, მაშინ რუსეთი კონსტანტინეს კანდიდატურას წამოაყენებდა, როგორც კანონიერს მემკვიდრისას.

მივიდა თუ არა დედოფალი ანნა პეტერბურგში, იმპერატორმა ფიცხლავ წერილი მისწერა ციციანოვს, რომელშიაც სწერდა ყოველივე ზომა მიეღო კონსტანტინეს განსათავისუფლებლად. თუ მოლაპარაკებით არაფერი გამოვიდესო, სწერდა იმპერატორი ციციანოვს, მაშინ შეგიძლიან მიჰმართო სხვა ხერხსა და საშუალებას, რისთვისაც დიდს პატივსა და სიყვარულს დაიმსახურებ ჩემგანაო²). აქედგან აშკარაა რამდენად დიდს მნიშვნელობას აძლევდა რუსეთის მთავრობა კონსტანტინეს განთავისუფლებას, თუ თვით იმპერატორი ასე გულმხურვალე მონაწილეობას იღებდა მის განთავისუფლებაში. იმერეთი იმ ჟამად დიდს საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთისათვის, იქა ჰქონდათ ბატონიშვილებთან ერთად მკვიდრი ბინა გაკეთებული რუსეთის გამგეობა მმართველობით უკმაყოფილოთ. კონსტანტინეს განთავისუფლებით კი სოლომონს ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ, რუსეთი თავისს მომხრეებით ადვილად მოახდენდა რამე უკმაყოფილებას იმერეთში, ისარგებლებდა ამითი და საჩქაროდ კონსტანტინეს წამოჰიმავდა იმერეთის ტახტზედ.

იმპერატორის ბრძანების მიღებისათანავე ციციანოვი დაფაცურდა. სოლომონთან დესპანად გაგზავნა საქმეში კარგად ჩახედული და გამოქნილი, გამგე თავისი კანცელარიისა ბრონევსკი და ჯარების მღვდელი პეტრიაშვილი, რომელთაც თან გააყოლა 15 ყაზახი. ბრონევსკის უნდა დაჟინებით მოეთხოვნა ბატონიშვილების განდევნა იმერეთიდგან და ქართლის საზღვრებზედ მოყვანა და კონსტანტინეს განთავისუფლება მუხურის ციხიდგან და რუსეთისთვის ჩაბარება.

ბატონიშვილების იმერეთიდან მოშორება ციციანოვისათვის კონსტანტინეს განთავისუფლებაზედ არა ნაკლებ საჭირო იყო. იმერეთში შეხიზნულ ბატონიშვილთ, როგორც ვიცით, 1802 წელს კახეთში უკვე მოახდინეს აჯანყება. თუმცა ეს აჯანყება სუსტი და უმნიშვნელო გამოდგა, მაგრამ სამაგიეროდ უკმაყოფილობა და შუღლი საკმარისად დაითესა რუსეთის მთავრობასა და ხალხს შორის. რუსეთის მთავრობამ გამოცდილებით იცოდა რა

*) იხ. „დროება“, N [illegible].

*) იხ. Дубровинъ, Георгій XII.

²) იხ. Акты археогр. ком. т. I გვ. 341.

ისხდნენ და წესიერება არ დაურღვევიათ

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრის პოკროვსკის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელიც განიხილავს იმ პირთა საქმეს, რომელთაც სამხედრო ბეგარისაგან ანთავისუფლებენ. განზრახულია ასეთებს განსაკუთრებული გადასახადი გადაახდევინონ.

**ნოვგოროდი.** ბოროვიჩევის მაზრაში, სოფელ გოლგონოში პოლიციამ აღმოაჩინა სოციალ-დემოკრატების სტამბა და პირველ მაისისათვის დამზადებულ პროკლამაციის კლიშე. დააპატიმრეს ერთი გლეხი.

**ვლადივოსტოკი.** ჩამოვიდა სენატორი გლიშჩინსკი, რომელიც მთავრობის დაწესებულებებს რევიზიას გაუკეთებს.

**ვარშავა.** ვენის გზის სქონლის სადგურზედ დაიწვა ნიშადურით სავსე ვაგონი. ვაგონში ორთქლმავალიდან ნაპერწკალი ჩავარდა. დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი, გაფუჭდა რკინის გზის ხიდი, ტელეგრაფის მავთულები, ბოძები და სხვა. დაშავდა ორი ცეცხლის მქრობელი.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლო შეუდგა 18 კაცის საქმის გარჩევას, მათ შორის ერთი სტუდენტია, დანარჩენები მუშები არიან. ბრალიდებათ 1907—8 წლებში ცარცვა გლეჯა. არ გამოცხადდა ორი ბრალდებული. საქმის გარჩევა ერთ თვეს გასტანს.

**მოსკოვი.** პირველ მაისს არ იმუშავეს საგაზეთო სტამბებმა.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება ტფილისსა და ქუთაისში.** აპრილსა და პირველს მაისს ტფილისში გაჩხრიკეს ბინა შემდეგ პირებისა: შოთა დადიანი, პ. იოსელიანი, შალვა ამირეჯიბი, პ. სურგულაძე, ალ. მდივანი, იოს. ბარათაშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ალ. დიასამიძე, ნ. ერისთავი, ე. ხრამელაშვილი, სვ. ყიფიანი, თავზარაშვილი, ალ. ჯაბადარი, ალ. ნანობაშვილი, ს. ფირცხალავა, ილ. აგლაძე, ქ. ქავთარაძე, ტ. გელიაიძე, იოს. ქუთათელაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ს. იაშვილი, ვ. მუსხელიშვილი, გ. მაჭარაშვილი, გ. ლასხიშვილი, ვას. ყიფიანი, მ. ადამაშვილი, გ. გვამიჩავა, შ. ბილანაშვილი და სხვ. ამათ შორის დააპატიმრეს შემდეგი პირნი: ს. ფირცხალავა, ილ. აგლაძე, გ. ლასხიშვილი, გ. მაჭარაშვილი, შ. ბილანაშვილი, მ. ადამაშვილი, შ. ამირეჯიბი, ტ. გელიაიძე, ქ. ქავთარაძე. 30 აპრილს ქუთაისში მრავალ ადგილის გაჩხრიკეს სახლები. ჯერ-ჯერობით ვიცით, რომ გაიჩხრიკა შემდეგი პირები: იოს. ივ. ოცხელი, ალექ. ნაზაროვი, გ. ზდანოვიჩი, ი. ს. ფანცხავა, პ. ი. ყიფიანი, სილ. ხუნდაძე, თომა მთავრიშვილი, დავით ავალიანი. ჩხრეკა დაახლოვებით დაიწყო ნაშუაღამევის პირველ საათზე და გაგრძელდა დილის 4 საათამდის.

✦ **რევიზია.** როგორც მკითხველს მოეხსენება, სენატორი რეინკე უკვე გამოემგზავრა კავკასიაში. იგი რევიზიას გაუკეთებს სამოსამართლო დაწესებულებებს. „კასპის“ სიტყვით სენატორ რეინკეს სატახტო ქალაქის კორესპონდენტისთვის უთქვამს, რევიზიას გაუკეთებ დაღესტანის, ზაქათალის, ბათუმის და ყარსის ოლქებს. რევიზია სამ-ოთხ თვეს გასტანს. აზრად მაქვს შევისწავლო კავკასიის იურიდიული მხარეო.

✦ **ბერების დაპატიმრება.** მკითხველმა იცის, რომ ამას წინად გელათის მონასტერი გაცარცვეს. „ჩვენი გაზეთის“ სიტყვით, ამის გამო დაუპატიმრებიათ ამავე მონასტრის ორი ბერი.

✦ **ეგზარხოსი მცხეთაში.** 30 აპრილს საქართველოს ეგზარხოსმა გუბერნატორის თანხლებით დაათვალიერა მცხეთის ტაძარი და სამთავრის მონასტერი. მცხეთის ტაძართან ეგზარხოსს სიტყვით მიმართა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გურამიშვილმა. ეგზარხოსმა გურამიშვილს და ახლო-მახლო სოფლებიდან შეგროვილ გლეხებს მოკლე სიტყვით მიმართა. შემდეგ გადაიხადეს პარაკლისი და ნატროევის თანხლებით დაათვალიერეს ტაძარი. ტაძრის დათვალიერების შემდეგ ეგზარხოსი სამთავრის მონასტერში წავიდა. დაათვალიერა მონასტერთან არსებული სკოლა, ეკლესია და სხვა და საღამოს 6 საათზედ ტფილისში დაბრუნდა.

✦ **ავლაბრის პროგიმნაზია.** ქალაქის გამგეობის დადგენილების თანახმად ამა წლის პირველ სექტემბრიდან ავლაბრის პროგიმნაზია გიმნაზიად გადაკეთდება, გაიხსნება მეშვიდე და მერვე კლასები. სწავლის ფული 60 მანეთი იქნება, ამას გარდა ქალაქი 1911 წლის პირველ იანვრამდის გიმნაზიას მისცემს 1000 მ. 1911 წელში 3500 მანეთს. ამ ხნის განმავლობაში სამოსწავლო უწყება სახელმწიფო სათათბიროს გიმნაზიისთვის საჭირო ფულს სთხოვს.

✦ **ქალაქის სესხი.** „კავკაზის“ სიტყვით, ტფ. ქალაქის გამგეობას პარიზიდან ვინერ-ბანკიდან დეპეშა მიუღია, პეტერბურგის ვოლგა-კამის ბანკში სესხის ანგარიშში უკვე გავგზავნეთ 100,000 მანეთი და როდესაც ქალაქისგან ობლიგაციის დროებით მოწმობებს მივიღებთ, მაშინვე გამოვგზავნით ორ მილიონ ოთხას ათას მანეთსაო.

✦ **საქონლის დაწვა.** „ტფილისტ,“ სოფელ ზემო-ბალიდან (დუშეთის მაზრა) ატყობინებენ: ვნების კვირის ოთხშაბათს, ღამე, სულ ერთიანად დაიწვა ადგილობრივ გლეხის ეკალაძის ბოსელი და შიგ მყოფი საქონელი. ოთხშაბათს, ჩვეულებისამებრ სოფელში „ჭია-კოკონა“ გააჩაღეს და აქედან ცეცხლი გაუჩნდა ეკალაძის ბოსელსაც. საქონელი საცოდავად ბღაოდა, მაგრამ შველა ყოვლად შეუძლებელი იყო. ძლივსძლივობით გადაარჩინეს ახლო-მახლო მდებარე სახლები.

**თ. ნიკო თავდგირიძის საჩივარი.** სოხუმის ქალაქის თავად ნამყოფმა თ. ნიკო თავდგირიძემ განასაჩივრა სენატში ნამესტნიკის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალით გამოძიება იყო დანიშნული თავდგირიძის მოღვაწეობის გამოსარკვევად და იგი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა. თავდგირიძის საჩივარი.

✦ **მოღვაწის იუბილეი.** მოსკოვში გადახდილ იქმნა დღესასწაული სომეხთა პოეტის ცატურიანის 25 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავად. კათალიკოსმა გამოუგზავნა იუბილიარს კურთხევა. სომეხთა ახალშენმა მიართვა საჩუქრათ კარგა მოზრდილი თანხა.

✦ **შემწეობა.** „ნოვ. რ.“-ს სიტყვით, კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტის წევრს ჟუნკოვსკის ნამესტნიკის საბჭოში წინადადება შეუტანია, საეროზო თანხიდან გაიდოს 10 ათასი მანათი კავკასიაში შინა მრეწველობის დასახმარებლადო.

✦ **ხელოსანთა კრება.** 2 მაისს ხელოსანთა კრება მოხდა. პირველად კრებამ მსჯელობა იქონია ხელოსანთა ყოფილ მოურავის რაფაელოვის საქმეზე. ბრალდებოდა საზოგადოების ფულის გაფლანგვა. რადგან რაფაელოვმა კრებაზე განაცხადა, გასამართლებელ საბუთების წარმოდგენა შემდეგ კრებისთვის შემიძლიანო, ამიტომ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა კრებამ სხვა დროისთვის გადსდო. ამის შემდეგ აირჩიეს სარევიზიო კომისია, რომელსაც დაევალა საზოგადოების ანგარიშები შეამოწმოს კომისიაში. აირჩიეს: რაბინოვიჩი, ვ. ვაშაკიძე, მ. მელენჩუკი, ს. ტერ-პოტროსოვი, ვ. რუბეცკი, ს. საფაროვი, ი. მხეიძე, მ. მათიაშვილი, კ. ფირცხელაური, ი. ბარსეგოვი და ა. მალიანცი.

✦ **სამოსამართლო დაწესებულებათა რევიზია.** 2 მაისს ბაქოს მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა სენატორი ნ. მ. რეინკე, რომელმაც რევიზია უნდა გაუკეთოს ტფილისის სასამართლო პალატის დაწესებულებათ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მოსკოვის სასამართლო პალატის პროკურორი და სხვა მოხელენი. სადგურზე სენატორს დაუხვდნენ ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, პროკურორი, ტფ. პოლიცმეისტერი და სხვანი.

✦ **კურსები.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დართო ბ-ნ ივანე როსტომაშვილს დაარსოს ტფილისში მოზრდილთათვის წერა-კითხვის შესასწავლი კურსები. სწავლა წელიწადში 40 მანეთი ეღირება.

✦ **ჯარიმები.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ტფილისის მცხოვრებნი პარმენ ტაბაძე და ავეტიკ შახნაზაროვი დაჯარიმებულ იქმნენ ხუთას-ხუთასი მანეთით. ბრალდებოდათ ნებადაუთველად იარაღის ტარება. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, დაპატიმრებულ იქმნებიან: პირველი—სამი, ხოლო მეორე—ორი თვით. გენერალ-გუბერნატორისავე განკარგულებით, ალექსანდრე ვახტანიანცი ტფილისში სხვის პასპორტით ცხოვრებისათვის დაჯარიმებულ იქმნა 1000 მანეთით; თუ ჯარიმას არ გადაიხდის, სამი თვით დააპატიმრებენ.

✦ 2 მაისს თავი მოიწამლა მაკდერის აფთიაქის პროვიზორის თანაშემწემ სამსონ ნესტორის ძე იოსელიანმა, რომელიც იმავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

✦ 2 მაისს, საღამოს 9 საათზე, სამხედრო პირთა სასაფლაოზე, კაზაკის სერგეი ერმაკის საფლავზე რევოლვერით თავი მოიკლა მარია ბოროდინამ. ჯიბეში ბარათი უპოვეს: „მაპატიეთ. დამნაშავე ჩემ მკვლელობაში არავინ არისო“.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ ფინანსთა მინისტრის რწმუნებულად საადგილ-მამულო ბანკში ნაცვლად იერემეევისა დაინიშნა სობრიევსკი. წესი რწმუნებულის დანიშვნისა არ შეცვლილა.

✦ ქუთაისში განუზრახავთ ყოველ-დღიური ქართული გაზეთის გამოცემა და, როგორც გადმოგვცეს, თხოვნაც შეუტანიათ გუბერნატორთან ნებართვის შესახებ.

# შავი-ქვის მრეწველთა კრება

29 აპრილი.

ამ დღეს კრების გახსნისთანავე თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა, ფინანსიურ კომისიაში მეექვსე წევრი აირჩიოთო. არ ვიცი რა მოსაზრებით იყო წამოყენებული ეს კითხვა,—მაგრამ კრებამ მაინც მეექვსე წევრად აირჩია რ. ანჯაფარიძე და შეუდგა საბჭოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშის განხილვას. ანგარიშს კრების წევრები უკვე იცნობდნენ და ამიტომ წაკითხულ იქმნა მხოლოდ სარევიზიო კომისიის მოხსენება ანგარიშის შესახებ.

სარევიზიო კომისია აღნიშნავს, რომ კასსა ეთანხმება წიგნებში აღნიშნულ ჯამს და საბუხჰალტერო წიგნები წესიერად არის წარმოებული და შენიშნავს შემდეგს:

1. 8 ორდერი ხელ-მოწერილია საბჭოს ორი წევრის მიერ ნაცვლად თავმჯდომარისა ან მისი მოადგილისა.

2. საბჭომ 1909 წლის განმავლობაში იხელმძღვანელა 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვით იმ დროს, როცა დებულებით საბჭოს 1909 წლის დასაწყისში უნდა შეედგინა ხარჯთ-აღრიცხვა და წარედგინა სამთო მმართველობისათვის, რადგან მრეწველთა კრების მოწვევა შეუძლებელი იყო.

3. ვალების უთანასწოროთ გადახდას დაზარალებულ მუშებისა და სტიპენდიების დაკმაყოფილების დროს.

4. დაზარალებულ მუშათა რიცხვის გამრავლებას და აქედან გამოწვეულ ხარჯის ყოველ წლივ გადიდებას, რაც, კომისიის აზრით, იმის შედეგია, რომ შტეიგერების სიცოტავის გამო მაღაროებში მუშაობის დროს ზედამხედველობა სუსტათ არის მოწყობილი.

5. გზებს, ხიდებს კომისიაზე სასურველი შთაბეჭდილება მოუხდენიათ, გარდა ქალის გზისა.

6. აგრეთვე კარგი შთაბეჭდილება

---

ცეცხლსა და ნავთს წარმოადგენდნენ ბატონიშვილნი საქართველოში ახლად დამკვიდრებულ მხედრობისათვის და ამტომ ციციანოვისადმი ბოძებულ უმაღლესს რესკრიპტში პირდაპირ იყო ნაბძანები, რომ ეცადე რაც შეიძლება ჩქარა მოაშორო მოუსვენარი ბატონიშვილნი საქართველოსაო.

ბრონევსკიმ კაცები გაუგზავნა ბატონიშვილებს, აამოძრავა იმერეთის თავად-აზნაურობა, მაგრამ ულმობელნი იყვნენ ბატონიშვილნი. და ან რა მოსაზრებით დასთანხმდებოდნენ, როდესაც აშკარად ჰხედავდნენ, რომ მათი იმერეთს მოცილება და ცივს რუსეთში თავის ამოყოფა ერთი იქნებოდა. ბატონიშვილის ვახტანგისა და დავითის წაპაწიალება, „მზგავსად დამნაშავე მუჟიკისა“, აგრეთვე დაკოდილ-დასახიჩრებულ წვრილშვილის ქვრივ დედოფლის მარიამის აწიოკება, რომელმაც სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია მთელს საქართველოში, თვალწინ უდგათ ყველას და ვინლა ენდობოდა ეხლა რუსეთს, რაც გინდა ბევრი თბილი სიტყვები დაეხარჯნათ და ია-ვარდით შეემკოთ მომავალი. გარდა ამისა, იულონს ჯერაც არ გაჰქრობოდა იმედი სამეფოს დაბრუნებისა. სპარსეთის შახმა უკვე გამოაცხადა იულონი ქართლ-კახეთის მეფედ და მძლავრის ლაშქრის შემწეობით უპირებდა ტახტზედ აყვანას. თვით ბატონიშვილნი ეხლა ვრცელს გეგმას ადგენდნენ ქართლ-კახეთში აჯანყებისას და რა გასაკვირველია, რომ არამც თუ დასთანხმდნენ იმერეთიდან წასვლას და რუსეთის მთავრობასთან ხლებას, არამედ ფიცხლევი უარი სტკიცეს. იმათ მტკიცეთ გადაწყვეტილი ჰქონდათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ებრძოლათ საქართველოს თვით არსებობისათვის და ამიტომ ბრინევსკის ყოველი მეცადინეობა და დაპირება ტყუილად ეხეთქებოდა ბატონიშვილთა მტკიცე გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, თვით სოლომონისათვის დიდათ საჭირო იყვნენ ბატონიშვილნი, ისინი ძალას აძლევდნენ და ამხნევებდნენ მეფეს. რასაკვირველია, თუ ბატონიშვილთ ბედი გაუღიმებდათ და გაიმარჯვებდნენ, მაშინ, ლაპარაკი არ უნდა, სოლომონიც წელში გაიმართებოდა და კიდევ არა ერთხელ ჩაამტვრევდა ბეჭებს გათამამებულს გრიგოლ დადიანს. ამიტომ სოლომონს არამც თუ სასურველად მიაჩნდა ბატონიშვილების განდევნა იმერეთიდან, პირიქით ორთავ ხელით ებღაუჭებოდა და რაც კი შეეძლო დახმარებასა და მეცადინეობას არ აკლებდა.

როცა ბრონევსკი ვერაფერს გახდა ბატონიშვილებთან, მაშინ სოლომონს მეორე თხოვნის აღსრულება მოსთხოვა. აუდიენციაზედ, რომელსაც დაესწრნენ წარჩინებული იმერეთის თავად-აზნაურნი, სოლომონმა ცივი უარი უთხრა ბრონევსკის კონსტანტინეს განთავისუფლებაზედ.—ჩემთვის უკეთესი იქნებაო, მიუგო მეფემ ბრონევსკის, უარი ვსთქვა ჩემს სამეფოზედ, ვიდრე კონსტანტინე განვათავისუფლო ციხიდამ და მით მთელი ჩემი სამეფო განსაცდელში ჩავაგდოვო. ვერავითარი ძალა ვერ იხსნის მას საპყრობილედანო, დაუმატა მეფემ.

ამ სიტყვებზედ ბრონევსკი დაემუქრა, რომ თუ ამ თხოვნაზედაც უარი სთქვი, სამართლიანად დაიმსახურებ იმპერატორის მრისხანებასაო.

ძნელი საქმე ჰქონდა გადასაწყვეტი სოლომონს, კონსტანტინეს განთავისუფლება, რომელიც ძლიერ მეტოქედ ითვლებოდა, რომელსაც მხარს უჭერდა ზოგიერთი იმერეთის თავად-აზნაური და ყველა ამას გარდა რუსეთის მთავრობა კანონიერ მემკვიდრეთა სთვლიდა იმერეთის ტახტისა, დიდად სახიფათო იყო და საშიშო. მეორეს მხრით რუსეთის მუქარა, რომლისათვისაც დიდს სიძნელეს არ შეადგენდა იმერეთის აკლება-აწიოკება და ტყვია ზარბაზნით დანგრევა მის ციხე სიმაგრეთა და თვით სოლომონის გადმოგდებაც, გასაჭირში აგდებდა სოლომონს. ორ წყალშუა ჩავარდნილმა სოლომონმა არ იცოდა არ ექნა, რა პასუხი გაეცა რუსეთის მთავრობისათვის. გაანთავისუფლებდა კონსტანტინეს და რუსეთი პირველსავე შემთხვევაზედ გადმოაგდებდა მას ტახტიდგან და თავისს მონა მორჩილს კონსტანტინეს წამოსჭიმავდა. თუ რომ კონსტანტინეს რუსეთში წაიყვანდნენ და იქიდგან არ გამოუშვებდნენ, მაშინ მისთვის მაგრე რიგად საშიში არ იქნებოდა კონსტანტინე. მაგრამ საქმეს უფრო ის ართულებდა, რომ სოკოლოვის დროს ბოძებულ უმაღლესს რესკრიპტში ნათქვამი იყო, რომ კონსტანტინე ციხიდგან განთავისუფლების შემდეგ რუსეთში უნდა წასულიყო და იქ უნდა დარჩენილიყო საცხოვრებლად, ციციანოვისადმი ბოძებულ რესკრიპტშიკი ნათქვამი იყო ბატონიშვილ კონსტანტინეს დედასთან დატოვება, რომელიც საქართველოში უნდა დარჩენილიყო საცხოვრებლად. სოლომონმა არ იცოდა რომელი რესკრიპტისთვის დაეჯერებინა და როგორ მოქცეულიყო.

სოლომონმა შეჰკრიბა რჩეულ პირთა საბჭო, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ქაიხოსრო წერეთელი—სარდალი და ქუთათელი მიტროპოლიტი—წერეთელივე. საბჭომ, დაშინებულმა რუსეთის მუქარით, შესაძლებლად დაინახა და დაითანხმა მეფე ბატონიშვილის კონსტანტინეს განთავისუფლებაზედ იმ პირობით, რომ კონსტანტინე სრულიად მოეშორებინათ საქართველოსთვის და რუსეთში დაეტოვებინათ სამუდამო საცხოვრებლად. მაგრამ, რადგანაც რუსეთში ცხოვრება და სამშობლოს სიშორე, რუსეთის მხედრობას მაინც ხელს ვერ ალებინებდა თავისს განძრახვებზედ, ამიტომ შორს გამჭვრეტმა მეფემ შემდეგს ხერხს მიმართა. ციხიდგან განთავისუფლებულს კონსტანტინეს[2]) თან გააყოლა დიპლომატიაში გამოქნილი და გამოცდილი ვიცე კანცლერი თავისს კარისა სოლომონ ლეონიძე, რომელიც მიიყვანდა რა ბატონიშვილს კონსტანტინეს პეტერბურგში, რუსეთის მთავრობას იმერეთისათვის მფარველობა - მეგობრობას გამოსთხოვდა. რუსეთის მფარველობა შემდეგში უნდა შემდგარიყო: 1, იმპერატორს უნდა დაეცვა გარეშე მტერთაგან და ყოველ მხრივ მფარველობა გაეწია იმერეთისათვის; 2, მეფობა არ უნდა მოსპობილიყო და თუ სოლომონს ვინიცობაა ვაჟი შვილი არ ეყოლებოდა, მაშინ მემკვიდრეობა კონსტანტინეზედ ან ვიზედაც მეფე მოისურვებდა უნდა გადასულიყო; 3, იმპერატორს უნდა დაენიშნა კომისარი, რომელიც გაარჩევდა სადავო საქმეებსა სოლომონისა და დადიანისას მათგან ამორჩეულ კაცებთან ერთად და სხვა და სხვა.

ამ თხოვნაში და ეგრეთვე შემდეგ გაგზავნილებში ვერა ნახავთ ნასახსაც იმ ჯა-ვედრებისას, რომლითაც სავსე იყო ხოლმე წინედ სოლომონისა თუ მთლად ბატონიშვილების მიწერ-მოწერა რუსეთის მთავრობისადმი. თითონ თხოვნა ზეზეულად არის შედგენილი და ეტყობა, რომ უფრო იძულებითია.

[2]) აქამ არ მეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ანგარიში, თუ რა დაჯდა ბატონიშვილის კონსტანტინეს განთავისუფლება. მოურავს ციხისას ხვიმონ ალავიძეს 50 ოქრო, აზნაურს იოსებ მაჭავარიანს, რომელსაც ბრონევსკი აქეთ-იქით ჰგზავნიდა სხვა და სხვა მინდობილობით 100 ოქრო, დავით მამაცაშვილს ამ მოგზაურობის დროს დაკარგულს ცხენში 100 მ. თბილისში დადებულ საიდუმლო პირობით ბატონიშვილის გასასთავისუფლებლად მიეცათ 1,666 მან. 66 კაპ. ბატონიშვილის ტანისამოსზედ დაიხარჯა: კალინკორის ნაჭერზედ 13 მან. ორ ნაჭერ სპარსულ ზერფეთზედ 26 მან., 1 ნაჭერი კატანი ყვავილებიანი 8 მ. სამი ნაჭერი უყვავილებო კატანი 18 მან. წელს მოსაჭერი შალი 40 მან., 3 ნაჭერი დარაია 27 მან., ხმალი 150 მან., სამი საჩერქეზე 52 მან. 94 კაპ. ფარჩის ნაჭერი 40 მან., მოგზაურობაზედ 173 მან. სულ 173 ოქრო და 2,831 მ. 60 კ. გარდა ამისა ციციანოვმა მისცა მშვენიერი ცხენი თავის ვერცხლის მკაზმულობით, რომელიც ყარსის ფაშას ეძღვნა ციციანოვისათვის და საზაზინოდ საჩუქრად ითვლებოდა.

სწორედ ამის გამოა, რომ იმ დროს როცა სოლომონ ლეონიძე პეტერბურგში იმყოფებოდა რუსეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და სპარსეთმა და ოსმალეთმა შესთავაზეს თავის დახმარება და მფარველობა იმერეთს, სოლომონი ორის ხელით წაებღაუჭა მათს წინადადებას.

ჰაჯი უსუფმა, ოსმალეთის ფაშამ ამ დროს გამოუგზავნა რა ფირმანი სულთნისა, მისწერა: „გავიგეთ, რომ რუსეთთან საქმის დაჭერას აპირებ და თუ ხონთქრის ბრძანება ფირმანში გამოთქმული არ აგისრულებია და თუ გავიგეთ, რომ სადმე შენს სამფლობელოში ხუთმა რუსის ჯარის-კაცმა გაიწაწანა, მაშინვე ურიცხვს ლაშქარს წარმოვავლენთ, სრულიად დაჰკარგავთ სამფლობელოს და ცხენების ფეხებით მოვაოხრებთ იმერეთს. ჩვენი მოთხოვნილება უნდა შეუფარდო შენს კეთილდღეობას, რადგან შენთვის სიკეთე გვწადიან. თუ არ შემარცხვენ ხონთქრის წინაშე და თანახმა გახდები ფირმანში გამოთქმულის მის სურვილისა, გეფიცები, რომ მიიღებ ხონთქრისაგან რასაც კი მოისურვებ, საუკუნოდ მეფედ დარჩებით თქვენც და თქვენი ჩამომავლობაც. თუ თანახმა ხართ რუსების გაწყვეტაზედ, ეხლა გაქვთ დრო“.[3])

სპარსეთის შახი კიდევ ფირმანით ატყობინებდა, რომ ბატონიშვილთ ალექსანდრესა და თეიმურაზის თხოვნით მრისხანე ლაშქარი გამოვგზავნევი საქართველოსაკენაო, რომელიც 50,000 კაცისაგან შესდგებაო და რომელიც მოკლე ხანში გარეკავს რუსებს კავკასიიდან და ყიზლარში და საქართველოში სპარსეთის დროშას აფრიალებსო. საქართველო ისევ დაუბრუნდებათ თავიანთ კანონიერ მემკვიდრეებს და აღდგენილი იქნება სამეფო ტახტიო. შემოსდგავს თუ არა სპარსეთის მხედრობა საქართველოში ფეხს, თქვენ უნდა დაეხმაროთ თქვენის ჯარებით იმერეთის მხრიდან და სრული იმედი უნდა გქონდეთ ჩვენი თქვენდამი ყურადღებისა და პატივსცემისა.

წამცდელი იყო ოსმალეთის პირობები, ია-ვარდით გზას უფენავდა სპარსეთის შახიც. მრისხანე მხედრობა 50,000 მეომრისაგან შემდგარი, რომელსაც, სხვათა შორის, ხელმძღვანელობას უწევდა გამოცდილი, მამაცი და საქართველოს მეზობელ ერებში სახელი და პატივის მქონე ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლის გმირობა-ვაჟკაცობა არა ერთხელ ეწვნიათ რუსებს, იმედით აღფრთოვანებდა სოლომონს.

სასოებით გაიხედა სოლომონმა წარსულისაკენ და გაიხსენა ის დრო, როცა იმერეთი ოსმალეთის მფლობელობის ქვეშ იყო მთელის საუკუნოების განმავლობაში. მძიმე იყო ეს უღელი, მაგრამ არავის მეფობა არ მოუსპია იმერეთში და საქართველოში, რუსეთმა კი გადმოსვლისათანავე ერთის ხელის დაკვრით სრულიად მოსპო მეფობა და მთელი საუკუნოებით საქართველოსთან შესისხლ-ხორცებული ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობა რუსეთის გზას გაუყენა. სოლომონის თავდები ვილა იქნებოდა, რომ მასაც იგივე არ დაემართებოდა, უკეთუ რუსეთის მფარველობას მიიღებდა. ბატონიშვილების განდევნამ მეტად დასცა რუსეთისადმი ნდობა და პატივი მთელს კავკასიაში, რასაც თვით მთავარმართებელი ციციანოვი არა ერთხელ აღნიშნავს თავისს წერილებში და რაღა დიდი ლაპარაკი უნდა, რომ სოლომონიც სრულის უნდობლობით უცქეროდა რუსეთსა და თუმცა სოლომონ ლეონიძე გაჰგზავნა პეტერბურგში მოსალაპარაკებლად, მაგრამ ეს გაგზავნა უფრო იძულებითი იყო.

ზ. ედილი.

(დასასრული იქნება)

[3]) Акты т. II 339.

მოუხდენია საავადმყოფოს. კომისია მხოლოდ სწუხს, რომ საავადმყოფო სივიწროვის გამო ვერ აკმაყოფილებს მთელი სამრეწველო რაიონის მოთხოვნილებას და

7. შემოსავალი აღმატებია განზრახულ ჯამს 111 ათასი მანეთით და ამ ფულის უმთავრესი ნაწილი (25 ათასი მან.), ვალის გასტუმრებას მოხმარებია.

**გ. ზდანოვიჩი**. ხარჯთ-აღრიცხვის საქმეში ჩვენ ვალდებულნი არ ვიყავით, როგორც სარევიზიო კომისიას ჰგონია, წარვვედგინა სამთო მმართველობისათვის. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, როცა ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებული არა აქვთ, წინა წლის ხარჯთ-აღრიცხვით ხელმძღვანელობენ და ჩვენც ასე მოვიქეცით. ამ საგანზე მსჯელობა გვქონდა ნამესტნიკის წარმომადგენელთან სარევიზიო კომისიაში და როგორც შევატყე ჩვენს მოსაზრებას დაეთანხმა. რაც შეეხება იმ საყვედურს, ვითომ დაზარალებულ მუშათა ვალი რიგიანად არ გაგვესტუმრებინოს და უთანასწოროდ გვეწარმოებინოს ეს საქმე, მოგახსენებთ, რომ ამ საქმეში ჩვენ ქრონოლოგიური წესით ვხელმძღვანელობთ და თავზედ ვერ ვიღებთ ამის შესახებ პასუხისმგებლობას. სტიპენდიების განაწილებაში-კი მართლა უთანასწორობაა და ამის უმთავრესი მიზეზი თვით კრების დადგენილებაა, რომელითაც ჩვენ ვალდებულნი ვიყავით უპირველეს ყოვლისა დაგვეკმაყოფილებინა ქუთაისის გარეშე მყოფი სტიპენდიანტები. აქაც, ქუთაისში, უთანასწოროთ რიგდება ფული, მაგრამ ეს გამოწვეულია არა იმით, რომ ჩვენ ამ წესის მომხრე ვართ, არამედ ცხოვრების ძალდატანებით. მოდის სტიპენდიანტის მახლობელი, გვეუბნება, სტიპენდიატი მძიმე ავადმყოფია და წამლის ფული არა გვაქვსო. ჩვენ ვაძლევთ ფულს. რომ არ მივცეთ, დარწმუნებული ვარ ესეც სასაყვედურო საგნათ გახდება. თუ კრებე დაგვავალებს ამ მხრით გადაჭრილ წესით ვაძლიოთ ფული, გვითხრას და ჩვენც ასე მოვიქცევით. შეიგერების რიცხვის მომატება ვერ შეამცირებს დაზარალებულ მუშათა რიცხვს. ამ საგანზე არა ერთხელ გვქონია ბაასი და მე იმ აზრისა ვიყავი, რომ მრეწველთა კრება, მათ დასაკმაყოფილებლად დიდ პასუხის გებას ტვირთულობს—გადაიტანეთ თვით მრეწველებზე ეს პასუხის გება და დაზარალებულთა რიცხვი შემცირდეს. რვა ორდერი მართლა საბჭოს ორი წევრის მიერ არის ხელ-მოწერილი. ეს მაშინ მოხდა, როცა მე პეტერბურგში ვიყავი და ჩემი მოადგილე ადმინისტრაციის განკარგულებით დატუსაღებული იყო. ამისთანა პირობებში სხვა რა გზას აირჩევდა საბჭო თუ არ იმას, რომელსაც დაადგა. საზოგადოთ, განაგრძო ბ-ნმა ზდანოვიჩმა, მიუხედავათ აქ აღნიშნული შენიშვნებისა, სარევიზიო მოხსენებას საქმიანობის ხასიათი აქვს. წინა წლებში კი სულ სხვა ხდებოდა და აკი ამიტომაც ჩვენი მოწინააღმდეგენი საგაზეთო პოლემიკის მასალათ ხმარობენ ამ მოხსენებებს.

**ბარ. მოსეშვილი**. მიუხედავათ იმისა, რომ ანგარიშის გასაცნობათ მცირე დრო გვქონდა, მე დაწვრილებით გადავათვალიერე იგი და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ანგარიში მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. საზოგადოთ ჩვენი საქმეებს თვალსაჩინო გაუმჯობესობა ეტყობა და თუ ჩვენს დაწესებულებას შევადარებთ სხვა საზოგადო დაწესებულებათ, მაშინ ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენი საქმის მსვლელობა და წარმოება სამაგალითოა. შემდეგ ამისა ბ-ნმა მოსეშვილმა რამდენიმე წვრიმალი შენიშვნა უძღვნა ანგარიშს და თავისი სიტყვა იმითი დაამთავრა, რომ მადლობა გადაუხადა თავისი მხრით საბჭოს ხელმძღვანელთ საქმის სამაგალითოთ დაყენებისათვის.

**ა. გამრეკელი**. უბედურ შემთხვევათა რაოდენობა მაღაროებში 1909 წლის განმავლობაში თითქმის ორჯერ აღმატება წინა წლისას. ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ერთი ჯურის მრეწველნი მალულათ იწყებენ მუშაობას მაღაროებში და უკანასკნელთა პატრონებს თუ არ სასამართლოს განჩინებით სხვა გზით არ შეუძლიანთ მათი თავიდგან მოცილება. სასურველია, რომ შესაფერად შეიცვალოს სამთო-მადნო კანონმდებლობა და სამთო მმართველობის აგენტებს უფლება მიეცეთ ამ გვარი მრეწველები, რომელთაც „проходимцы“-ბს ეძახიან, თავის უფლებით გააძევონ მაღაროებიდან. წლიური ჩვენი ხარჯი დაზარალებულ მუშების დასაკმაყოფილებლათ 40—50 ათას მანეთს უდრის და იქნება უმჯობესი იყოს მუშათა დაზღვევაზე გადავიდეთ. კარგი იქნება ამ საგანზე თავისი აზრის გამოთქვას მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ.

**გ. ზდანოვიჩი**. მახსოვს ჩვენ აღვძარით შუამდგომლობა სამთო მართველობის აგენტების ადმინისტრატიულ ფუნქციათა გაფართოვების შესახებ, მაგრამ დღემდის არ გამორკვეულა ამ შუამდგომლობის ბედი, თუ ინებებთ ჩვენ შეგვიძლია გავაახლოთ შუამდგომლობა. რაც შეეხება მუშათა დაზღვევაზე გადასვლას, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: დამზღვევი საზოგადოებანი თავის ანგარიშს დაამყარებენ ჩვენს სტატისტიკაზე და, ეჭვი არ არის, უფრო მეტს მოითხოვენ, ვიდრე ჩვენ ვხარჯავთ.

შემდეგ ამისა საბჭოს მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში ერთხმად დამტკიცდა.

**თავმჯდომარე ჩენგერი**. სარევიზიო კომისია აცხადებს სურვილს, რომ სატეხნიკო მუშაობის დაწყება ეცნობოს სარევიზიო კომისიას, რომ უკანასკნელს მიეცეს ფაქტიური კონტროლის საშუალება.

ამ საგნის შესახებ ბევრი სიტყვა დაიხარჯა და ამ წინადადების წინააღმდეგნი აღნიშნავდენ იმ გარემოებას, რომ ფაქტიური კონტროლის უფლება დებულებითაც ეძლევა სარევ. კომ., და დასასრულ 23 ხმით წინააღმდეგ გადაწყდა, რომ საბჭომ სარევიზო კომისიას აცნობოს, როცა თვალ-საჩინო სატეხნიკო მუშაობას შეუდგება.

გარდა ზემოხსენებულისა კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი:

1. აღიძრას შუამდგომლობა, რომ გაფართოვდეს სამთო მმართველობის აგენტების ადმინისტრატიული ფუნქციები.

2. მომავალ კრებას საბჭომ წარუდგინოს დაზარალებულ მუშათა დაკმაყოფილების წეს-რიგის პროექტი და

3. აღიძრას შუამდგომლობა, რომ შავი ქვის მრეწველთა კრებები მოხდეს ხოლმე არა მარტში, არამედ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში, როცა მრეწველნი, რომელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობას ეწევა, უფრო თავისუფალნი არიან.

## უცხოეთი

**ეროვნული მოძრაობა ინდოეთში.**

ინგლისის მთავრობას ინდოეთიდან ცნობები მიუღია, რომ იქ ეროვნული მოძრაობა თან და თან ფართოვდება და საყოველთაო ხასიათს ღებულობს. ლონდონში მთავრობის წრეები მეტად შეფიქრიანებულნი არიან ამ ამბით. ინდოელების მოძრაობა ისე გაიზარდა და იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ ინგლისში დღითი-დღე მოელიან საქმის საბოლოოდ გამწვავებას. ზოგიერთები პირდაპირ ამბობენ, რომ შესაძლებელია ორმოც-და ათიან წლების აჯანყება განმეორდეს ინდოეთშიო.

**სლავიანთა კრება.**

სლავიანთა მოღვაწენი კრამარჟი, ბობჩევი, გრიბარი და სხვანი, რომელნიც დაესწრნენ პოლონელ მოღვაწის დმოვსკის მონაწილეობით გამართულ თათბირს, იმ აზრისანი არიან, რომ ძალიან საჭიროა პოლონელებმა მონაწილეობა მიიღონ სლავიანთა მომავალ კრებაში, რომელიც სოფიაში უნდა მოხდეს. დმოვსკისთან მოლაპარაკება სამ დღეს გაგრძელდა, მაგრამ ვერც კრამარჟმა და ვერც ბობჩევმა ვერ დაიყოლიეს დმოვსკი თანხმობა გამოეცხადებინა კრებაში მონაწილეობის მიღებაზე. დმოვსკის უთქვამს: მე ნეოსლავიზმის მომხრე ვარ, მწამს იმის მომავალი, მაგრამ დღევანდელ მომენტში პოლონელების მონაწილეობის მიღება კრებაში მეტად უსარგებლოდ და უხერხულად მიმაჩნიაო.

ჯერ-ხნობით გამორკვეულია, რომ კრებაში მონაწილეობაზე სურვილი განაცხადა 52 კულტურულმა ორგანიზაციამ.

**ინგლისის პრესის აზრი მეფე ედუარდის სიკვდილზე.**

ყველა გაზეთები მეტად კარგად ახასიათებენ მეფე ედუარდს. „ტაიმსი“ სწერს, რომ გარდაიცვალა ევროპის მშვიდობიანობის დამცველი ედუარდი და ისიც ამ მეტად გამწვავებულ მდგომარეობის დროსაო. უნდა აღინიშნოს, რომ რადგან მეფეს შეეძლო კარგად გაეთვალისწინებინა ევროპის პოლიტიკური საკითხები, იმას არა ერთხელ აუცდენია ევროპისათვის შეიარაღებულ შეტაკების განსაცდელი. გერმანიის საქციელი ამ ბოლო დროს მეტად სახიფათო იყო მშვიდობიანობისათვის, მაგრამ მხოლოდ მეფე ედუარდის ენერგიულმა ჩარევამ პოლიტიკის საქმეში დაიფარა ევროპის მშვიდობიანობაო.

„დაილი მაილ“-ი ამბობს, არც ერთ ინგლისის მეფეს არ დაუმსახურებია ასე მალე ხალხის ისეთი სიყვარული, როგორც ედუარდსაო. ინგლისის შინაურ მდგომარეობის გამწვავება ისე არაფერს არ შეეძლო, როგორც ედუარდის სიკვდილსაო.

„დალ. ტელეგრაფი“ სწერს, არ შეგვწევს ძალა გამოვნახოთ უფრო მეტად ძლიერი სიტყვები იმის სათქმელად, რომ პარლამენტი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა ედუარდის სიკვდილის გამო. ედუარდი მეტად გამოცდილი იყო და შესწევდა ძალა აეწონ-დაეწონა შინაური საქმეები, საგარეო პოლიტიკა და თავიდან აეცდინა ერისათვის ყოველივე უბედურება.

## თეატრი და ხელოვნება

**კონცერტი**. კვირას, 16 მაისს, ბ-ნი ფოცხვერაშვილი ქართულ თეატრში გამართავს კონცერტს პროგრამმა საინტერესოა.

—

**გ. გედევანოვის იუბილე**. ხუთშაბათს არტისტიულ საზოგადოების თეატრში ქართული და სომხური საზოგადოებანი იდღესასწაულებენ მსახიობ გ. გედევანოვის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს. წარმოდგენილი იქნება თითო-თითო მოქმედება „ტარტიუფიდან“, „დაქცეული ოჯახიდან“ და „ხანუმიდან“. ბილეთები უკვე იყიდება.

—

**გამოსაცდელი წარმოდგენები**. როგორც გვიგეთ, დრამატიულ საზოგადოების ახალ გამგეობას აზრად აქვს მაისში რამდენიმე გამოსაცდელი წარმოდგენები გამართოს იმ პირთათვის, რომელთაც სურვილი აქვთ ქართულ სცენაზე სამსახურისა. ამ წარმოდგენებს დაესწრებიან მხოლოდ გამგეობის წევრნი და პრესსისა და ლიტერატურის წარმომადგენელნი.

—

**მსახიობთა მოგზაურობა**. შაბათს, 1 მაისს, პროვინციაში გაემგზავრა წარმოდგენების გასამართავათ ახლად შემდგარი ამხანაგობა ქართულ მსახიობთა. დასში შედიან: ქ-ნნი: ეფ. მესხისა, მ. მდივანი, პ. შოთაძე, ნ. რიონელი. ბ-ნნი: გუნია, კ. მესხი, იმხნელი, ზარდალიშვილი, გვარაძე, იმნაძე და სხვა. წარმოდგენები გამართება: ბათომში, სოხუმში, და ფოთში. წარმოდგენილი იქნება: „დალატი“ სუმბათაშვილისა, „სამეგრელოს მთავარი დევან“ გ. ყიფიანისა და „ნამუსისათვის“ მირზან-ზადესი.

## მწიგნობრობა

**„ნაკადული“**. მოგვივიდა აპრილის ნომერი საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულისა“, რომელშიაც მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები შ. მღვიმელისა, ვ. თამროშვილისა, გიორგისა, ო. ჰრელაშვილისა და სხვებისა.

—

**„ჯეჯილი“** მოგვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები, წერილები, თარგმანები ეკატირინე გაბაშვილისა, ლადო გეგეჭკორისა, ნინუასი, ეკ. მესხისა, ქუჩიშვილის., ს. გიორგაძისა და სხვა. ჟურნალი საინტერესოა და კოხტად არის შედგენილი.

—

**„თეატრი და ცხოვრება“**. გამოვიდა მორიგი მე-17-ე ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ჩვეულებრივი მეთაურისა და წერილების გარდა, „ჩემი შენიშვნები“ შალვა დადიანისა, ერთმოქმედებიანი პიესა „სურათი ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან“ ეკატ. გაბაშვილისა, „კნუდ ჰამსუნი“ —პეტ. დადეშაძისა, „გაათხოვეს“ ნ. ლორთქიფანიძისა, „ამ დროს ვიყიწყებ“ მ. ფოცხოველისა, დიქცია“ (წერილი სასცენო ხელოვნების შესახებ) გიორგი ჯაბადარისა და სხ. წერილები. პორტრეტთა გარდა დაბეჭდილია დიდი სურათი „ვ. გედევანოვი სხვა და სხვა როლებში“ ორმოცდაათამდე სურათი.

## მოძრაობა ალბანიაში

„რუსკ სლოვოს“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ დიაკოვოსთან შეტაკებამ რამდენიმე საათს გასტანა, ოსმალეთის ჯარი დამარცხდა, ალბანელმა შეამბოხეებმა დატყვევეს დიდძალი ჯარი და იარაღი აუარესო. დიაკოვო-ალბანელების ერთი რაზმი გაეშურა პეჩისაკენ, რომ ძალაქი ხელში ჩაეგდო, ხოლო მეორე რაზმი გაიგზავნა მიტროვიცაში. გავრცელებულია ხმა, ვითომ ალბანელებმა უკვე დაიჭირეს პეჩი. ამავე გაზეთს ატყობინებენ უსკიუბიდან, რომ ოსმალეთის ჯარში დიდი დემორალიზაცია სუფევსო. საექსპედიციო კორპუსის ოფიცრები უარს აცხადებენ აჯანყებულ ალბანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე. სტამბოლიდანაც იუწყებიან, რომ ჯარი არ თანაუგრძნობს, რომ ალბანელთა დასაწყნარებლად სასტიკი ზომები იქნას მიღებული. ოსმალეთის სამხედრო მინისტრს სალონიკში ყოფნის დროს უთქვამს, რომ კანონი ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ და თუ ალბანელები არ დასცხრებიან და კეთილგონიერებას არ დაუხმობენ, მთავრობა იძულებული იქნება იმდენი ჯარი გაგზავნოს ალბანიაში, რამდენიც საჭირო იქნება აჯანყების ჩასაქრობად. სამხედრო მინისტრი შევკეთ-ფაშა მივიდა უსკიუბში. იმას უთქვამს გაზეთის კორესპონდენტისათვის, რომ ის მოწადინებულია პირადად გაეცნოს საქმის მდგომარეობას. რათაც არ უნდა დაუჯდეს მთავრობას, მაინც ალბანიის მოძრაობას ჩააქრობსო. მოძრაობის ჩაქრობის შემდეგაც საალყე წესები დარჩება კიდევ რამდენიმე ხანს, ჯარიც დარჩება ალბანიაში, სანამ მოძრაობის ნასახიც სრულიად არ მოისპობა ალბანიაშიო.

**მოძრაობა სალონიკსა და მონასტირში**

ალბანიის მოძრაობასთან მჭიდრო კავშირი აქვს იმას, რომ სალონიკსა და მონასტირში დიდი ჩხრეკაო. აპატიმრებენ დიდძალ ხალხს უმთავრესად ბერძნებსა და ბოლგარებს. აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი, დაპატიმრებულთაგან ერთი ბერძნისა და ორი ბოლგარელი მასწავლებელია. სალონიკისა და უსკიუბის ლიანდაგზე დააპატიმრეს ერთი ოსმალი, რომელიც იარაღს აბარებდა აჯანყებულ ალბანელთ. ჩხრეკა-დაპატიმრების გამო ხალხი მეტად აღელვებულია.

**ალბანელ დეპუტატის აზრი.**

ალბანელ დეპუტატს უთქვამს „რეჩის“ თანამშრომლისათვის, რომ ალბანიის მოძრაობა ისეთი აქტია, რომელიც მიმართულია ოსმალეთის მთავრობის გაოსმალების პოლიტიკის წინააღმდეგო. ოფიციალური წრეები ირწმუნებიან, რომ მოძრაობას მალე ჩააქრობენ, მაგრამ ეს საეჭვოა. ალბანელების მოძრაობა კარგა ხანს გაგრძელდებაო.

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბახანოვი**: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი**: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა**: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი თ:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანცი**: 6—6½ ს საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი**: 6—6½ ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**.

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—92)




(10—ნ.—3)

**ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ**

საოცრად გავრცელდა ფეხსაცმელების კრემი „ბრისტოლი“, ამის გამო ბევრ სიყალბეს ხმარობენ.

**უურადღება!**

ნამდვილია მხოლოდ **№ 4870**

**ალბერტ ზაქსი**

კანტორა: СПБ. Англ. пр. 46 ტელეფ. 321—07. მაღაზია: ყ ანოსა 6. ტელეფ. 264—92 -

(Метцль и К. N 42944.)

**მთავრობის საქველ-მოქმედო ალები.**

1910 წ. განმავლობაში 5 ტირაჟი კიდევ. ყოველ ტირაჟში უმთავრესი მოგება 1,000,000. დაწვრილ. ცნობები უფასოდ გზავნება. БЕРНАРЪ и К°, Парижъ, Севастополь бульв., 30. წერა და ადრესი რუსულად შეიძლება.

წერილის გაგზავნა საზღვარ გარედ ღირს ღია ბარათი—4 კ., დახურული წერილი—10 კაპ.

(Метцль и К° N 29204). (4—6.—2)

## გამოვიდა და იყიდება

ტფილისში, წ. კ. საზ. მერკვილაძის და გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართულ თეატრის მსახიობთადმი მათის სურათებით: **„ცოლი ვიტირო თუ ფული“**—მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, **„ყმა-ილის ბრალია“**,—გედევან გედევანოვისადმი,—**„ბედმა მაღალატა“**, —ვასო აბაშიძისადმი, **„უშნო არშიყი“**, და სხვა. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25% გამორიცხვით. წიგნის ფასები 10—20 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (10—240—7)

## ქ. ოზურგეთში

**იყიდება** იაფად ვახრამოვის მამული ცეცხლის შემდეგ დარჩენილი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი თავის ეზოთი, ზომით 1712 ოთხკუთხი საჟენი ან რაც საზღვრებში აღმოჩნდება. ფასის შეტყობა შეიძლება თვით პატრონთან ტფილისში, ელისაბედის ქ. № 17. ბინა მე-10. გენერალიშა ნატალია იაგოროვნა ვახრამოვისას. (3—260—2)

## ამხანაგობა „იუქანეს“ ბაღი და რესტორანი

დღეს, კვირას 25 აპრილს, 1910 წ. გაიხსნება საზაფხულო ბაღი ქართულ თეატრთან. შესავალი მარჯვენა მხრიდან, გალერეიდან.

**სადილი და ვახშამი**

სადილი 1 საათ. ნაშუადღევის 5 საათამდის.

2 თავი საჭმელი 50 კაპ., 3 თავი 75 კაპ., 4 თავი 1 მან.

**საჭმელები ადგილობრივი და ევროპიული.**

რესტორანში არის სამი სრულიად ახალი **ბილიარდი** და **ნარდი**.

არის აგრეთვე კაბინეტებიც. მიიღება შეკვეთა პიკნიკებზე, სადილებზე, ვახშმებზე, რამდენ კაცზედაც უნდა იყოს. არის მოჩარდახებული როტონდო ნადიმებისათვის და აგრეთვე ახლილი ადგილი დიდკაცის ხის ქვეშ. ბაღში შესვლა უფასოა. (10—ხაღ.—3)

## ყ ვ ე ლ ა მ,

ვისაც სურს გააკეთოს რაიმე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ ნება დართულ კავკასიაში ერთად-ერთ

## სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში

## ი. ფონ-ბრენერისა.

**ხერგეევის ქ. № 4.**

იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას. იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილებისა და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს.

გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა. (10—ლგ.—2)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

**„როზა“**

ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—8)